# ცნობის ფურცელი

V. წ. ყოველ-დღიური გამოცემა.—შაბათი, 19 აგვისტო 1900 წ. № 1214

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



## ყოველ-წლიური ლიტერატურული ჟურნალი

# „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად, 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად, ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

შესახებ ყოველივე საქმეებისა—ნაწარმოებთა ანუ ბუნებითი სიმდიდრისა **ქართველთა მემამულეთა**, მიჰმართავენ მსურველნი დროებით ბიუროში **რაფიელ ისარლოვს**, ქართველ მემამულეთა წარმომადგენელს პარიზის გამოფენაში.

ადრესი: **RAPHAËL ISARLOFF.**

(6. 16—1) **Paris, rue des Ecoles, 40.**

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა

## იწვევს მსურველთ თეატრში სამსახურისათვის

მსურველნი მიჰმართავენ ბ-ნს **ვ. გუნიას** საზოგადოების კონტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზედ) ყოველ-დღე, დილის თერთმეტ საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (5—6.—1)


## რედაქციისაგან

გავახსენებთ ჟურნალ „მოამბის“ და გაზეთ „ცნობის ფურცლის“ ხელის მომწერთ, რომ დარჩენილი ნაწილი გადასახადისა უეჭველად პირველ სექტემბრამდე უნდა წარმოადგინონ; წინააღმდეგ შემთხვევაში სექტემბრიდან ჟურნალის და გაზეთის გაგზავნა მოესპობათ.


## კანტორა

**ნოტარიუსის ილია ივანეს ძის წინამძღვრიშვილისა** ღიაა დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის სამ საათამდე. კანტორა იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, მეორე სართულში, სახლი № 2 (3—6.—3)


## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**17 აგვისტო**

**პეტერბურგი.** 17 აგვისტოს დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული წავიდა ყირიმში, 16 აგვისტოს ბელგრადში წავიდა დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე.

საგლეხო სააღგილ-მამულო ბანკს ნება მიეცა ათი წლის განმავლობაში, 1901 წლის 1-ლ იანვრიდან, იყიდოს და გაჰყიდოს ხოლმე მამულები და ამ ოპერაციებში იხმაროს ბანკის ფული.

გენ. რენენკამპფის რაზმმა აიგუნიდან ხონგანისკენ მიმავალ გზაზე, მტრის დევნის დროს, დაჰკარგა 30 ოფიცერი და 22 უბრალო ჯარის-კაცი მოკლული, 4 ოფიცერი და 79 უბრალო ჯარის-კაცი დაჭრილი. შემდეგ ზარალი აღარ ჰქონია. იმავე დროს რაზმმა 23 ივლისს ეიურს წაართვა ორი ტყვიის სასროლი ხონგანიდან მერგენისაკენ გადასავალში და 33 ზარბაზანი. გენერალ რენენკამფის რაზმი 3 აგვისტოს სოფელ ნინნიანდჟანთან იმყოფებოდა, საიდგანაც განაგრძობს თავის მოძრაობას.

**ჰონკონგი.** ორასი ყაჩაღი 14 აგვისტოს, ღამით, თავს დაეცა კანტონის მაგომეტანთა ნაწილს და გაძარცვეს ოთხი სახლი. ჰფიქრობენ, თავ-დასხმის მიზეზი იყო სიძულვილი კანტონის მცხოვრებთა, რომლითაც კანტონელები უყურებენ ჩრდილოეთის მცხოვრებთ. ამას გარდა კანტონში მშვიდობიანობა ჰსუფევს.

როგორც ამოიდან იტყობინებიან, იქ მისულა ინგლისის კრეისერი „იზისი“. ხმაა, ვითომც ფორმოზიდან ამოაში მოვიდა 12,000 იაპონიის ჯარის კაცი.

**ტიანცზინი.** ტიანცზინის გარშემო მშვიდობიანობა ჰსუფევს.

**გააგა.** ბურების დელეგაცია გუშინ საღამოს მოვიდა აქ.

**შანხაი.** ერთ გერმანელ ბანკს და ჩჟან-ჩჟიძუნის მმართველს მოლაპარაკება აქვთ ერთი მილიონი ტაელის სესხის შესახებ. სესხი უზრუნველ უნდა ჰყოს მმართველმა თავისი ქონებით.

**ჰონკონგი.** გეზლიდან მოვიდა ამბავი, რომ უსარგებლოა ჯარის ჩრდილოეთზე გაგზავნაო და ამიტომ მე-4 ბრიგადის გამგზავრება გადაიდო.

**შანხაი.** 10 აგვისტოს ჩინელებმა ტენშუში ბრძოლა წააგეს. პრინცი ტუანი და მასთან 1,500 კაცი დამარცხდნენ; დანარჩენები იაპონელებმა განდევნეს ჩჟილის პროვინციიდან. იანშიკაიმ დაამარცხა „დიდი მუშტი“ და პეიზანსა და ხესიუდან გამოსული საიმპერატორო ჯარები; მათ დაჰკარგეს 1,500 კაცი. ტიანძინსა და პეკინს შუა მიმოსვლა ისევ შეწყვეტილია. შიკრიკების მიმოსვლა საშიშოა, რადგანაც „დიდი მუშტის“ მომხრეთ შეუძლიანთ მათი ხელში ჩაგდება. იანცზუნის ჩრდილოეთის მთელი მხარე წყალშია.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

✕ ინგლისის გაზეთებს სწერენ პეკინიდან, რომ საელჩოების დამცველებმა მხოლოდ იმიტომ შესძლეს ასე დიდხანს გამაგრება, რომ ჩინელი ჯარის კაცები ჰყიდდნენ თოფებისა და ზარბაზნებისათვის საჭირო სასროლ მასალას.

პეკინიდანვე იტყობინება მაკდონალდი, ინგლისის ელჩი, რომ ჩინეთის მთავრობას არავითარი სურვილი არ გამოუგზავნია ალყა-შემორტყმულთათვის, მხოლოდ ერთხელ მოიტანეს ჩინელებმა საზამთროები საელჩოში, მაგრამ ევროპიელებმა არ მიიღეს ისინი.

✕ პარიზიდან იწერებიან, რომ ვითომ ცნობილი გენერალი ნეგრიე დაინიშნება ჩინეთში მყოფ საერთაშორისო ჯარების მთავარ-მეთაურის უფროსად.

✕ პეტერბურგში მყოფ ჩინეთის ელჩს მიუწერია ბარონ სუტნერისათვის წერილი, რომელიც პასუხია ბარონის წერილისა. ელჩს, როგორც თვითონ სწერს, ბევრი უმოგზაურია ევროპაში და ამერიკაში, დაჰკვირვებია ცხოვრებას, ზნე-ჩვეულებას და უნახავს, რომ ბევრი რამ მოიწონება ისეთი, განსაკუთრებით სამხედრო ხელოვნებაში და ვაჭრობაში, რის შეთვისებაც ჩინეთს სარგებლობას მოუტანდა. მაგრამ-კი, ამბობს ჩინელი ელჩი, ყველაფერი კარგი, რაც მას უნახავს უცხოეთში, დაჩრდილულია მეტოქეობითა და შურიანობით. რაც შეეხება ჩინეთსა და უცხოელ სახელმწიფოებს შორის მომხდარ შეტაკებას, იგი გამოწვეულია, ელჩის აზრით, ერთმანეთის გაუგებრობით. აუცილებელი საჭიროებაა, რაც შეიძლება მალე მოისპოს ეს გაუგებრობა და უთანხმოება, წინააღმდეგ შემთხვევაში არა თუ ჩინეთს შეემთხვევა უდიდესი უბედურება, არამედ მას მოჰყვება სხვა საერთაშორისო შეტაკებაც, რომელიც დიდად მავნებელი იქნება მთელ კაცობრიობის ინტერესებისათვის.

პირველი მიზეზი, რომელმაც მოამზადა და გამოიწვია ეხლანდელი

განხეთქილება, არის ჩინელების სიძულვილი ქრისტიანობისადმი. მისიონერების მიზანი, რასაკვირველია, დიდად პატივსაცემი და საქებია *), მაგრამ არც ერთი რიგიანი ჩინელი არაფრის გულისთვის არ გამოიცვლის სარწმუნოებას მამა-პაპათაგან ნაანდერძევს და არ მიიღებს მათთვის სრულებით უცხო ახალ სარწმუნოებას. აქედან ცხადია, რომ მოქცეული ჩინელები უფრო ხშირად ჩინელების უცუდესს ნაწილს ეკუთვნიან და ქრისტიანობა მათთვის მხოლოდ ფარდაა, რომლის საშუალებით ისინი ცუდ-კაცობას სჩადიან და სხვა ჩინელებს ავიწროებენ. ხალხი, რომელიც პირველად გულ-მოსული და გაბრაზებული იყო, აავსო შეუბრალებელი მძლავრებით, რომლის ამოხეთქის შეჩერება ყოვლად შეუძლებელი იყო. ჩინელებს ისე არ უნდათ გაქრისტიანდნენ, როგორც ევროპიელს არ უნდა გახდეს კონფუცის მიმდევარი.

ჩემი პირადი აზრი ის არის, რომ ჩინეთსა და უცხოელ სახელმწიფოების საგაჭრო დამოკიდებულება შეიძლება განვითარდეს უკანასკნელ ხარისხამდე, მაგრამ რაც შეეხება სარწმუნოებრივ კითხვას, ყველაზე გონიერი იქმნებოდა, მას არავინ შეეხებოდეს. დეე, ყველას თავისი სარწმუნოება ჰქონდეს.

მე არ ვიცი, მიხვდებიან თუ არა უცხოელი სახელმწიფოები, თუ რამდენად დიდ-მნიშვნელოვანია ეს რეალური კითხვა და რამდენად მავნებელია ყველასათვის რელიგიურ მისწრაფებათა განხორციელების სურვილი და ცდა».

☙ თუ მისიონერები მართლა ეგრე დანაშაულნი არიან ახლანდელ არეულობაში, სასტიკადაც დაისაჯნენ ისინი ჩინეთში. ინგლისურ გაზეთებში აწერილია შანჰაიდან ხანკოუში მოსულ მისიონერების თავ-გადასავალი: «ორმოცდა ათი დღის განმავლობაში მოდიოდნენ უბედურები აუტანელი სიცხითა და შიმშილით შეწუხებულები. ქალები ცოცხალ-მკვდრები იყვნენ, ბავშვები, რომელნიც კი სიკვდილს გადურჩნენ, ნამდვილ ჩონჩხებს წარმოადგენდნენ. ბევრი მათგანი შიმშილით მომკვდარიყო გზაზე. მისიონერები მოდიოდნენ პანგიაოდან ტაიუანფუში, რადგანაც პირველის გუბერნატორი უცხოელების დიდი მტერი იყო. არ გაევლიათ 50 მილი, რომ მათ შეხვდნენ მოქცეული ჩინელები, რომელთაც შეატყობინეს მათა რომ ტაიუანფუში ხალხი აჯანყდა და ყველა მისიები გადასწვა. საწყლები იძულებულნი შეიქნენ უკანვე დაბრუნებულიყვნენ. რაც კი რამ ებადათ ყველაფერი გაჰყიდეს, რათა გზაზე პურის ყიდვა შესძლებოდათ, მაგრამ მათ წაართვეს ფულებიცა და ბარგიც. შიშველ-ტიტველნი, დამშეულნი და ყველასაგან დევნილნი გადადიოდნენ საბრალონი სოფლიდან-სოფელში. ხანდახან რომელიმე შებრალე გულის პატრონი მანდარინი მისცემდა მათ ცოტა პურს და ფულს, მაგრამ ბრბო მაშინვე ყველაფერს წაართმევდა. ხუნანში, როგორც იქნა, სასმელ-საჭმელი კი იშოვეს, მაგრამ სამაგიეროდ ისინი დაატუსაღეს, მხოლოდ ხუბეში მოეღო ბოლო მისიონერების ტანჯვა-წვალებას: ვუჩანის მმართველმა შეიბრალა ისინი და მფარველობა გაუწია.

*) გუშინდელ ნომერში ჩვენ გვქონდა მოყვანილი ფრანგი პუბლიცისტის აზრი მისიონერების მოღვაწეობაზე; საინტერესოა შედარება ამ აზრისა ჩინეთის ელჩის აზრთან.

☙ ჰონკონგიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ჩინელთა ბრბო თავს დაესხა და გაძარცვა მისსიები ფუტლენში და კიანგსში. 300 ჯარისკაცი ჩქარის ნაბიჯით წავიდა იქითკენ ბრბოს განსადევნად. საფრანგეთის სამხედრო გემიც წავიდა დასასხმარებლად. ნაპირზე დესსანტები გადმოიყვანეს, რადგანაც მისიები საშიშ მდგომარეობაში არიან.

☙ ბერლინიდან დეპეშით იტყობინებიან ჩინეთის საელჩოს ერთი წევრის ნალაპარაკევის შინაარსს: «შეერთებულმა ჯარებმა უნდა იზრუნონ დროებით მმართებლობის ან რეგენტის დანიშვნის შესახებ, რადგანაც ქვრივი დედოფალი არაფრის გულისთვის არ დაბრუნდება პეკინში». ხმა დადის, რომ რეგენტად დაინიშნება პრინცი ჩუნი, რომელმაც წინად გერმანიის იმპერატორისაგან მიიღო «შავი არწივის» ორდენი.

☙ რომიდან დეპეშით იტყობინებიან 9 აგვისტოს, რომ გრაფ ვალდერზეს დარბაზობა იტალიის მეფესთან გაგრძელდა ნახევარ საათიო; დარბაზობას დაესწრო გარეშე საქმეთა მინისტრი გრაფი ვისკონტი-ვენოსტა. იმავე დღეს, საღამოს, ვალდერზე ნეაპოლში მივიდა დ 11 საათზე ავიდა გემზე («საქსონია»). ვალდერზეს შტაბის ოფიცრებთა შორის იმყოფება რუსი პოლკოვნიკი თავადი ენგალიჩევი.

☙ ფრანგ მისიონერის კოლდრის წერილი ლიხუნჩანგისა და ჩინელების შესახებ (აგვისტო, 1896 წელი). «ლიხუნჩანგი დიდი ხანია მიხვედრილია ევროპის მეცნიერების, მრეწველობის და სამხედრო ხელოვნების უპირატესობაში, მაგრამ იგი, როგორც ნამდვილი აზიელი, ღრმა ზიზღით უყურებს ევროპიელების ზნე-ჩვეულებას, ფილოსოფიას, სარწმუნოებას და პოლიტიკას, ზიზღით, რომელსაც იგი ჰფარავს უცხოელების წინაშე უკიდურესი ზრდილობიანობით. ფატალისტი და მასთან უკიდურესი სკეპტიკი, იგი აღნიშნულ მიზანს არასოდეს არ ივიწყებს, განუწყვეტლივ სდევს მის განხორციელებას, რისთვისაც იგი არავითარ საშუალებას არ აუვლის გვერდს. მან არ იცის არც შიში, არც სინიდისის ქეჯნა; სიყვარულსა და ქალს მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, და თუ მართალია, რასაც ამბობენ შესახებ მისი რომანებისა იმპერატორის სასახლეში, თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ იგი სარგებლობდა ქალით თავის პოლიტიკურ განზრახვების მისაღწევად. ჩინეთის ისტორიაში მას მოიხსენიებენ როგორც პატრიოტს, რომელიც ღრმად დარწმუნებულია, რომ ჩინეთი მარტო ჩინელების საკუთრებას უნდა შეადგენდეს—არა თუ ჩინეთი, მთელი ქვეყანაც, რადგანაც ჩინელები იდეალებით, ტრადიციით თავიანთ თავს ევროპიელებზე მაღლა აყენებენ». შემდეგ მისიონერი დაწვრილებით არჩევს ლიხუნჩანგის კარიერას და მოღვაწეობას. პირველად თავი იჩინა ლიხუნჩანგმა 1850-ში, როცა მან ჩააქრო ამ წლის აჯანყება იმპერატორის წინააღმდეგ. განსაკუთრებით დიდი სახელი და გავლენა მოიპოვა მან 1860-ში დიდი აჯანყების დროს: იგი შეიქნა დინასტიის ერთად-ერთი მხსნელი. ლიხუნჩანგი თავის ხანგრძლივ მოღვაწეობის დროს ბევრ ევროპიელს შეხვდა და ბევრ რასმეს მიხვდა იგი. მას ჰსურდა, რომ ჩინეთი არსებითად უცვლელი დარჩენილიყო, მხოლოდ შეეძინა ევროპისაგან ტეხნიკა როგორც მრეწველობისა, ისე სამხედრო ხელოვნებისა. როცა იგი ჩინეთში ყოვლად შეძლე და გავლენიანი შეიქნა (1870-ი წლის შემდეგ), იგი ფრთხილად შეუდგა თავის მიზნის სისრულეში მოყვანას. გამოიწერა ინსტრუქტორები, დააარსა არსენალი, სამხედრო და უცხო ენების შესწავლის სკოლები. «ჩინეთში არ არის არც ერთი საქმე, რომ ლიხუნჩანგი ასე თუ ისე არ იყოს დაინტერესებული». წერილის დასასრულს ფრანგი მისიონერი ამბობს: «ჩინელებისათვის ლიხუნჩანგი დიდი კაცია, მაგრამ ჩვენ, ფრანგებმა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი ჩვენი მტერია. ჩვენ უნდა გვეშინოდეს მისგან დაწყებული საქმეების კეთილად დამთავრებისა. ევროპაში დიპლომატები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ შორ აღმოსავლეთს და ის კი არ იციან, რომ ჩინეთში დიდი ამბები მზადდება და ევროპა სრულებით მოუმზადებელი დახვდება. ჩვენ მათ ბევრი რამ ვასწავლეთ; მათ წაიღეს ჩვენგან თოფები, ზარბაზნები, და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ეს იარაღი ჩვენ წინააღმდეგვე არ იხმარონ».

როგორც ვხედავთ, გარდა დიპლომატებისა, სხვაც ბევრნი იყვნენ პირები, რომელნიც ჰხედავდნენ და აცხადებდნენ, რაც მზადდებოდა ჩინეთში, მაგრამ გამგონე არავინ ყოფილა.

# ახალი ამბავი

✦ როგორც მკითხველებმა იციან, **სახელმწიფო გარდასახადი სადგომებზედ** შემოღებული იქმნება ამიერ-კავკასიაშიაც 1901 წ. 7 იანვრიდან. ჩვენში სადგომის გადასახადის სამოქალაქო კომისიის წევრებს ნიშნავს ადგილობრივი გუბერნატორი, ან ოლქის უფროსი ადგილობრივ სახაზინო პალატის უფროსთან შეთანხმებით.

სადგომების გადასახადის კანონის მიხედვით, რუსეთის ქალაქები დაყოფილია რამდენიმე კლასებად. ჩვენი ქალაქები მოხვდნენ: მეორე კლასში—ბაქო, ბათუმი და ტფილისი; მესამეში—კავკავი, განჯა, ქუთაისი, ფოთი, სოხუმი და ერევანი; მეოთხეში—ალექსანდროპოლი, ანაპა, არმავირი, გროზნა, დერბენტი, ეისკი, მაიკოპი, პეტროვსკი, პიატიგორსკი, თემირ-ხან-შურა და შუშა; მეხუთეში—ახალქალაქი, ახალციხე, გორი, ყიზლიარი, ყუბა, ლენქორანი, მოზდოკი, ნახიჩევანი, ნუხა, ოზურგეთი, სიღნაღი, თელავი და შემახა.

✦ ჩვენ შევიტყვეთ, რომ წერა-კითხვის საზოგადოებისაგან ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორად დანიშნული **ალექსი ჭიჭინაძე** უკვე დაუმტკიცებია ამ თანამდებობაზე ქუთაისის გუბერნიის სახალხო დირექციას.

✦ რვა თვის შეჩერების შემდეგ გუშინ დაიწყო გამოსვლა ტფილისის რუსულმა გაზეთმა **„ნოვოე ობოზრენიემ“**. ვუსურვებთ პატივცემულ გაზეთს დღეგრძელობასა და ჩვენის ქვეყნის ინტერესების ენერგიულად დაცვას.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორს ბ-ნს სავიჩს ურჩევია სოფლის სკოლების მასწავლებელთათვის **ლევიცკის სახელმძღვანელოს** მაგიერ ბ-ნის ი. გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვოს“ შემოღება. ამგვარად ლევიცკის სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც, როგორც მკითხველებმა იციან, სახალხო განათლების სამინისტროს სამოსწავლო კომიტეტმა უვარგისად სცნო, ქუთაისის გუბერნიაშიაც კი ჰკარგავს ნიადაგს.

✦ როგორც ვიცით, რუსეთის უნივერსიტეტებში ჩვეულებად არის ყოველ წელს ყოველ ფაკულტეტზედ სამედალო ტემების გამოცხადება. აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზედ პეტერბურგში წელს გამოცხადებულია ტემა ქართულ ძველ ლიტერატურიდან: „არჩილ მეფის ნაშრომის ისტორი-

ულ-ლიტერატურული მიმოხილვა“. დაწერილი ტემა წარდგენილ უნდა იქმნას არა უგვიანეს მიმდინარე წლის დეკემბრისა.

✦ სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი ბ-ნი ბერიძე თავს ანებებს ხსენებულ სკოლას, ასე რომ „წერა-კითხვის საზოგადოების“ სკოლებში ერთი ადგილი მასწავლებლისა კიდევ განთავისუფლდა.

✦ ფინანსთა სამინისტროს საკრედიტის კანცელიარიიდან შემდეგი ცირკულიარი მოსვლიათ რუსეთის გირაოთა სესხის გამცემ ბანკებს: „რადგანაც პროცენტიანი ქაღალდების, მათ რიცხვში გრძელ ვადიანი კრედიტის გირავნობის ფურცლების და ობლიგაციების—მოთავსება გაძნელდა, ფინანსთა სამინისტრომ საჭიროდ სცნო, რათა გირავნობის ფურცლების და ობლიგაციების ფასების კიდევ უფრო დაწევის ასაცილებლად, მათი გამოცემა შემცირებული იქმნეს, რამდენადაც შესაძლებელია და ამ მიზნისათვის ხსენებულ საზოგადოებებმა შეამოკლონ ახალი სესხების გაცემა, განსაკუთრებით ქალაქის მამულებზე, უკიდურესის სიფრთხილით მოიქცნენ როგორც სესხის მიცემაში, ისე ამ სესხის რაოდენობის განსაზღვრაში და წინ და წინვე შეატყობინონ სესხის გატანის მსურველს საქმის ეხლანდელი გარემოება.

✦ „ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობის წევრი ბ-ნი ექ. თაყაიშვილი გუშინ, 18 აგვისტოს, წავიდა სოფ. გომარეთში ხსენებულ საზოგადოების სკოლის შენობის აგების საქმის მოსაწყობად.

✦ სოფ. ძველ-გავაზის (თელავის მაზრა) ადგილობრივი ინტელიგენცია შუამდგომლობს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობის წინაშე, რათა ხსენებულს სოფელში დაარსებულ იქმნას სახალხო სამკითხველო.

✦ მთა-მადნის ინჟინერს გრინიოვს შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო მთავრობის წინაშე პეტერბურგში, რათა საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთის ბაქოში გამოცემის ნება მისცენ მას.

✦ ბოტანიკური ბაღი ჰყიდის ადგილობრივ და საზღვარ-გარეთის საუკეთესო ხარისხის ხეხილს და დეკორატიულ მცენარეებს.

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზების „მოძრაობის“ სამსახურის ახალი უფროსი ვერხოვსკი (იურისტია) გუშინ ბათომში ჩამოსულა. ვერხოვსკი დანიშნულია პოდპოლკოვნიკ იზმაილოვის მაგიერ, რომელიც სხვაგან გადაიყვანეს.

✦ უკანასკნელ დროს ტფილისში შაქარი გაძვირდა. ვაჭრებმა ასწიეს ფასი ფუთ შაქარზე 6 მანეთიდან 6 მანეთ ნახევრამდე.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე გამგეობის წევრმა შესტაკოვმა წაიკითხა უფროსი ბუხგალტერის ერმიშევის მოხსენება, რომელშიაც უკანასკნელი თხოულობს, რათა გამგეობამ გაგზავნოს ბუხგალტერიაში ტეხნიკი სიბინძურეთა მილების საქმის საწარმოვო წიგნებში ანგარიშის არსებულ გაუგებრობის და უწეს-რიგობის ასახსნელად. ქალაქის გამგეობამ დაადგინა კითხვის საფუძვლით გამორკვევისათვის მოიწვიოს გამგეობის 19 აგვისტოს სხდომაზე გამგეობის ყოფილი ტეხნიკი მუხარინსკი, ტეხნიკი ოჰანჯანოვი, უფროსი ბუხგალტერი ერმიშევი და მოანგარიშე ივანიცკი.

---

# საღამოს დეპეშები

**18 აგვისტო**

**პეტერბურგი.** 17 აგვისტოს მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებითურთ მობრძანდნენ ბელოვეჟში.

**ტიანძინი.** გენერალი ლენევიჩი 6 აგვისტოს იტყობინება, რომ უცხოეთის სარდლების შეთანხმების ძალით, არც ერთი სახელმწიფოს ჯარი არ შესულა იმპერატორის სასახლეში; სასახლის კარებში დაყენებულია ყარაულად მოკავშირეთა ჯარის რაზმები. იმპერატორის მთავრობა გაიქცა, სად,—არავინ იცის. მრავალი მინისტრები სიკვდილით დაესაჯათ ევროპიელთა მისვლამდე. ჯაშუშთა ცნობით, სამხრეთ ბაღში არიან მოკრივენი; განზრახვა აქვთ ამ დღეებში განდევნონ იგი იქიდან. ჩვენს ჯარებს ხელში ჩაუვარდათ მილიონ ფუთამდე ბრინჯი. ცუნგ-ლიი-ამენში იპოვეს ცოტაოდენი ვერცხლი. ალყის გარშემორტყმის დროს ჩვენი დესანტი, რომელიც იცავდა საელჩოს, იქცეოდა გმირულად, დესანტის უფროსი, ლეიტენანტი ბარონ რადენი ხელმძღვანელობდა დაცვას. გენერალი ლენევიჩი იტყობინება, რომ 6 აგვისტოს პატარა რაზმმა ჩვენმა ჯარისამ, პოდპოლკოვნიკის ილინსკის უფროსობით, დაიჭირა იმპერატორის საზაფხულო სასახლე, ჩრდილოეთ-სამხრეთით პეკინიდან; ზარალი არ მოსვლიათ. ჩვენმა არტილერისტებმა პეკინში იპოვეს 30 ზარბაზანი და ბევრი სხვა იარაღი.

გენერალი გროდეკოვი იუწყება: „ორი დღის ბრძოლა-შეტაკების შემდეგ, გენერალ სახაროვის რაზმმა დაიჭირა აიგუნი. ამასთანავე წაართვა 7 ზარბაზანი, მრავალი სამხედრო სურსათი და სანოვაგეთა დიდი საწყობები. ჩვენის მხრივ დაჭრილია 8 კაცი.

**ფულუტუნი.** ჯარი და თითქმის ყველა მცხოვრებნი გაიქცნენ. შემდგარია რაზმები ნიკოლსკის რაზმთან შესაერთებლად და აიგუნიდან სამხრეთისაკენ მდებარე რკინის გზის დასაჭერად და დასაცავად.

**კოპენჰაგენი** ფინანსთა მინისტრი ვიტტე მოვიდა აქ.

**მასსერუ.** ყოველ წამს მოსალოდნელია ლედი-ბრანდზე თავდასხმა; მთებზე მოჩანს დარაჯთა ცეცხლი. აქაურმა სამხედრო მმართველობამ გადასწყვიტეს ლედი-ბრანდტის დაცვა.

**გლასგო.** აქ აღმოჩენილი ავადმყოფობის ბაქტეოროლოგიური გამოკვლევა გათავდა. ოფიციალურად გამოცხადებულია ჭირი. ამ ჟამად ექიმები ჰწამლობენ 11-ს ჭირით ავადმყოფს.

**პეტერბურგის ბირჟა 16 აგვისტოს**

| | მყიდველისა. | გამყიდველისა | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| 4% სახელმწიფო | მ ი | ნ ი | თ ი |
| რენტა. . . . | — | — | $96\frac{1}{8}$ |
| $4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ. | — | $99\frac{1}{2}$ | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | $97\frac{1}{4}$ | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 324 |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 275 |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | $210\frac{1}{2}$ |
| $3\frac{1}{2}$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | 88 | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ.. | — | 97 | — |
| $4\frac{1}{2}$% გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | $86\frac{1}{4}$ |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6% გირ. ფურცლ. . . . | — | $101\frac{1}{2}$ | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | $98\frac{1}{2}$ | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | 98 | — |
| $4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 87 | — |

**დრ. რედ. ალ. ჯაბადარი**

---

# გამოსადეგი ცნობანი

**ნ ი ხ რ ი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 გ. | $8\frac{1}{2}$ კ. | |
| სუკი . . . . . . | » | — 15 კ. | |
| » ცხვრისა . . . | » | — $8\frac{1}{2}$ კ. | |
| » ღორისა . . . | 1 | — 8 კ. | |
| » კამეჩისა » » | » | — 5 კ. | |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 | » —10 კ. | |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იისფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 გ. | 5 კ. | |
| » » | II | » » | $3\frac{1}{2}$ | » |
| » » | III | » » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » » | 5 | » |
| » » | II | » » | 4 | » |
| » » | III | » » | $3\frac{1}{2}$ | » |
| ლავაში ჯკ. მმ. | I | » » | 6 | « |
| » » | II | » » | 4 | « |

---

**ტფილისის ბაზრები:**

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზალზე:

| | | მ. | კ. | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | | 1 | 1 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | | 1 | 1 15 | კაპ. | |
| ქერი . . . . . . | | 1 | —მ.—70 კ. | | |
| სიმინდი . . . . | | 1 | — 65 | — | — |
| ფქვილი სოფლისა . | | 1 | 1 20 | — | — |
| » უფერო მდარე. | | 1 | 1 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | | 1 | — 30 | — | — |
| კარტოფილი. . . . | | 1 | — 65 | — | — |
| ხახვი . . . . . | | 1 | — 10 | — | — |
| თივა . . . . . | | 1 | — 25 | — | — |
| ბზე. . . . . . | | 1 | — 23 | — | — |

შუშა რძხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი 40 მ., კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

---

**რუსეთის ბაზრები:**

ფქვილი როსტოვში:

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. — კ. | | № 4—6 მ 75 კ |
| № 1—8 » 25 » | | № 5—6 » 50 » |
| № 2—7 » 75 » | | № 6—6 » — » |
| № 3—7 » 25 » | | № 7—5 » 75 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54—41 კ. ქერი როსტოვში 50 კ. 57 კ.-მდე, ნოვოროსსიაში 59 კ. 60 კაპეიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 6 მან. 80 კ. „ ფშხვნილი „ 5 „ 30 »

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. გაუსუფ. 5 მ. 80 კ. 7 მ. 90 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 75 კ.—4 მ. — კ., გარეცხილი— მ. — კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო—მ. — კ.-მდე.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, გორონცოვის ქუჩა, სახლი იეღიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის და ეპუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) გორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

**საფოსტო მატარებელი № 3** ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე: —დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე —საღ. 9 ს. 42 წ.

ფოთიდან სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საავარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საავარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

საავარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

---


წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

**გამგეობისაგან.**

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1 | — |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | « | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | « | 10 |
| ზნეობა, მოთხრობა ნ. მელანიასი (პლუვდონიმი) | « | 20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | « | 70 |
| იგივე II ტომი | « | 60 |
| იგივე III ტომი | « | 60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | « | 80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | « | 10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | « | 60 |
| იგივე II ტომი | « | 60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | « | 60 |
| სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა | « | 40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | « | 20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | « | 50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | « | 15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1 | 20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის კ. პეტრიაშვილისა | 1 | 50 |
| რძე მისივე | 1 | 50 |
| სიბრძე ბალავარისა | « | 30 |
| ცეცხლით და მახვილით | « | 80 |
| დასტურ-ლამა | « | 10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.



ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

**გლეხი-კაცის ისტორია,**

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა<br>და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტე | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| ივდით, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

გამომც. გ. გუნია.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 Августа 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განჯის დიდი ქუჩა, № 27.